პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის

ბრძანება №07

2022 წლის 16 მარტი

ქ. თბილისი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40^2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“ (დანართი №2).

მუხლი 2

ამ წესის ძალაში შესვლის შემდგომ, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება პირველად განხორციელდეს წესის ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული დანართით გათვალისწინებულია აღნიშნულზე მეტი ვადა.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
სამსახურის უფროსი **ლელა ჯანაშვილი**